ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №100

2011 წლის 12 აგვისტო
ქ. ქობულეთი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის საინვენსტიციო დაფინანსებისათვის გრანტისა და სესხის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან გრანტისა და სესხის მიღებაზე ქ.ქობულეთში დავით აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის (პიკეტიდან 20+00 გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე) ქვეპროექტის განხორციელების დაფინანსებისათვის.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე